




კვირის ეკონომიკური მონიტორი

5 - 11 ნოემბერი, 2018


- ოქტომბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 57 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა.
- ოქტომბერში ტურისტების რაოდენობა 15.1%-ით გაიზარდა.
- მიმდინარე კვირაში ლარი აშშ დოლართან და ევროსთან მცირედით გამყარდა.

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წლის 31 ოქტომბრის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 3,092 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით შემცირებულია 57 მილიონი აშშ დოლარით. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი გაზრდილია 149 მილიონი აშშ დოლარით.

ვიზიტორთა რაოდენობა



2018 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოში 719,140 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +9%-ია. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ვიზიტების რაოდენობამ 611,152 შეადგინა, ზრდა +8.5%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 407,221 შეადგინა, რაც 53,385-ით მეტია 2017 წლის ოქტომბრის მაჩვენებელზე (ზრდა +15.1%).

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების ზრდის კუთხით გამოირჩნენ: რუმინეთი +132%, შვედეთი +92%, ნიდერლანდები +63%, ლატვია +62%, პოლონეთი +51%, გერმანია +41%, იტალია +37% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: კორეის რესპუბლიკა +77%, ჩინეთი +60%, ა შ შ +50%, ბელარუსი +35%, ყაზახეთი +34%, საუდის არაბეთი +30% და სხვა.

2018 წლის იანვარი-ოქტომბრის თვის




მონაცემებით საქართველოში 7,507,517 საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტი განხორციელდა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +11%-ია. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ვიზიტების რაოდენობამ 6,258,261 შეადგინა, ზრდა +12.5%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 4,179,323 შეადგინა, რაც 621,783-ით მეტია 2017 წლის იანვარი-ოქტომბრის მაჩვენებელზე (ზრდა +17.5%). საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები (2018 წლის იანვარი-ოქტომბერი)

ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი რუსეთიდან (+23.7%), აზერბაიჯანიდან (+10.3%), სომხეთი (+0.2%) და თურქეთიდან (+14.3%) განხორციელდა. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების რაოდენობის ზრდის კუთხით გამოირჩნენ: ესტონეთი +85%, რუმინეთი +65%, სლოვაკეთი +62%, ნიდერლანდები +59%, გერმანია +51%, ესპანეთი +47%, ლატვია +44%, ჩეხეთი +44%, საფრანგეთი +36%, იტალია +32% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: კორეის რესპუბლიკა +125%, ჩინეთი +84%, ბელარუსი +45%, ქუვეითი 34% და ისრაელი +32%.


2017 წელს საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელდა 7,902,509 ვიზიტი. 2011 წელს კი ანალოგიური მაჩვენებელი 3,115,527 ვიზიტს შეადგენდა. 2017 წელს მოგზაურების ვიზიტების წლიური რაოდენობა 2011 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და ზრდამ +154% შეადგინა. 2012 წლიდან საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები შემდეგნაირად გამოიყურება: 2012 წელი - 4,741,346; 2013 წელი - 5,734,898; 2014 წელი - 5,888,709; 2015 წელი - 6,305,635; 2016 წელი - 6,719,975; 2017 წელი - 7,902,509.

დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი




საბაზრო მონაცემების თანახმად, მიმდინარე კვირაში ლარი დოლართან მიმართებაში 1,50%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი დოლარის შეძენა 2,7146 ლარად იყო შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე კვირაში სებმა საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე 10 მლნ. აშშ დოლარი შეისყიდა.

დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი




გასული ერთი თვის ლარის კურსის მერყეობა დოლართან მიმართებაში გამოსახულია გრაფიკზე, საიდანაც ჩანს, რომ საბაზრო მონაცემების თანახმად გასულ თვეში ლარი დოლართან მიმართებაში 2,93%-ით გაუფასურდა.

ევრო/ლარის გაცვლითი კურსი



საბაზრო მონაცემების თანახმად მიმდინარე კვირაში ლარი ევროსთან მიმართებაში 1,90%-ით გამყარდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი ევროს შეძენა 3,0800 ლარად იყო შესაძლებელი.

ევრო/ლარის გაცვლითი კურსი



ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი ევროსთან მიმართებაში 1,43%-ით გაუფასურდა.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში ანალიზისათვის გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქსტატის, ეროვნული ბანკის და აგორა ფინანსების ვებ-გვერდებიდან.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში მოყვანილი მასალის ნებისმიერი ფორმით გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იქნას აგორა ფინანსები როგორც ინფორმაციის წყარო.

საკონტაქტო ინფორმაცია:

გიორგი მუშკუდიანი

g.mushkudiani@agora.ge